სერჟი-პონტუაზის ქალაქგეგმარების საზაფხულო ვორკშოპი პარიზში

2018 წლის 5 სექტემბრიდან 26 სექტემბრის ჩათვლით გაიმართა უკვე ტრადიციული სერჟი-პონტუაზის ქალაქგეგმარების საზაფხულო ვორკშოპი (პარიზის რეგიონი, საფრანგეთი). სერჟი-პონტუაზის ვორკშოპები იმართება 1982 წლიდან და ყოველი სესია გარკვეულ თემას ეძღვნება. სესიის მსვლელობისას საერთაშორისო სტუდენტებისგან დაკომპლექტებული ჯგუფები ერთი თვის მანძილზე ეცნობიან სხვადასხვა საინტერესო ადგილებს, ამუშავებენ წინადადებებს და სესიის ბოლოს წარადგენენ პროექტს. წლევანდელი სესიის თემა იყო „ცხოვრება მეტროპოლიტენის არეალში“.

ჩვენი ფაკულტეტი, სახელოსნოს დაარსების დღიდან თითქმის ყოველ წელს აგზავნის სტუდენტების პროექტებს საფრანგეთში, ვორკშოპში მონაწილეობის მისაღებად. წელს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის წარმომადგენელი იყო მაგისტრატურის მეორე კურსის სტუდენტი გვანცა ცქიფურიშვილი. სესიაში მონაწილეობის მისაღებად მან გაიარა კონკურსი, რისთვისაც ვორკშოპზე წინასწარ გააგზავნა დამუშავებული თემა თბილისი-რუსთავის ურბანულ-რურარული კავშირების შესახებ. (ხელმძღვანელი ასოც. პროფ. დ. ბოსტანაშვილი).

გვანცამ ერთი თვის მანძილზე იმუშავა ხუთი სტუდენტისგან შემდგარ ჯგუფში, რომელთა შორის იყვნენ არქიტექტორი, ლანდშაფტის დიზაინერი და ურბანული სოციოლოგი. დანარჩენ სამ ჯგუფთან ერთად, საკუთარი შემუშავებული პროექტი „დაკავშირებულობა და მრავალფეროვნება“ (Connectivity and Diversity) წარადგინა ფართე აუდიტორიის (მათ შორის 30 კაციანი ჟიურის) წინაშე, რომელსაც ესწრებოდნენ როგორც

სპეციალისტები ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, რომლებსაც გააჩნიათ რეალური ბერკეტები სტუდენტების მიერ შემოტავაზებული იდეები გამოიყენონ რეგიონის განვითარების ხედვაში.

ამ პროექტის მიხედვით, პარიზის რეგიონიდან, შეირჩა 6 ძირითადი ტერიტორია, რომელთაგან პრეზენტაციაზე დეტალურად 2 იქნა განხილული - ქ.პარიზის სენ დენის რაიონი და ქ. ვენდომი, მათი განსხვავებული ხასიათისა და პრობლემატიკის გამო. პროექტის მიზანს წარმოადგენდა ადგილობრივი ხასიათისა და რესურსის აღმოჩენა, წინ წამოწევა და მათი გათვალისწინებით სხვადასხვა აქტივობების შეთავაზება ამა თუ იმ არეალზე, რაც ადამიანების, სამეზობლოების, ქალაქებისა და რეგიონების უკეთეს კავშირს და რესურსების გაზიარებას შეუწყობს ხელს. გუნდის მთავარი კონცეფცია სწორედ ამ აქტივობებს ე.წ. „მარცვლებს“ ეყრდნობოდა, რომელიც მომავალში ტყედ იქცევა და უფრო დიდ მასშტაბებზე იქონიებს გავლენას; კონცეფციის გასამყარებლად მოყვანილი იყო სხვადასხვა ქვეყნების ადგილობრივი მაგალითები, მათ შორის ფესტივალები ინდოეთიდან და ძველი ფაბრიკა-ქარხნების ადაპტაციის მაგალითები საქართველოდან. საბოლოოდ პროექტმა სხვა სამ წინადადებასთან ერთად დიდი მოწონება დაიმსახურა ჟიურის მხრიდან. გარდა ამისა, მონაწილეებმა გაიცნეს პარიზის რეგიონის მრავალი საინტერესო ადგილი და ერთმანეთს გაუზიარეს კულტურული გამოცდილებები. ატელიეს ყოველწლიური ვორკშოპები იმართება სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის რუსეთში და აფრიკის კონტინენტზე.